



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების
მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №43

2015 წლის 10 თებერვალი

ქ. თბილისი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში არსებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე და 61-ე მუხლების, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მარტის №6 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების“ მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და მე-19 მუხლის შესაბამისად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში არსებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის დირექტორი ელენონრა ლაგვილავა.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში არსებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2014 წლის 3 იანვრის №3 ბრძანება.
3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუბრაძის ქუჩა №11), მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.
4. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

თავმჯდომარე



ირინა მილორავა